



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღმასრულებელი დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

N 119

09/11/2018

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ


საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს დადგინებისა და 2013 წლის 31 დეკემბრის #406 დადგინებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

გზრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი დანართი 1-ის და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი დანართი 2-ის შესაბამისად.
2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს:
სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი.
3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს:
საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამმართველოს უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი.

4. დაევალოს სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსს/მოვალეობის შემსრულებელს უზრუნველყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტისათვის საჯარო ინფორმაციის მიწოდება ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის 16.01.2012 წლის N12-ს და 31.01.2014 წლის N20-ს ბრძანებები.
6. ბრძანებას გაეცნოს მასთან დაკავშირებული ყველა პირი.
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6), გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

გოგიტა თოდრაძე



აღმასრულებელი დირექტორი

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი (შემდგომში წესი) განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის საქსტატის ელექტრონულ რესურსებზე (ვებ-გვერდზე) განთავსების სამართლებრივ საფუძვლებს და არეგულირებს საქსტატის ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულისათვის ინფორმაციის ზუსტ და დროული მიწოდების საკითხებს.
2. საქსტატის ელექტრონული რესურსის მისამართია: www.geostat.ge. საჯარო ინფორმაციის გვერდი (პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია) განთავსებულია ამავე ვებ-გვერდზე (http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=1468&lang=geo.)
3. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია საჯარო და უსასყიდლოა ნებისმიერი პირისათვის.

მუხლი 2. ვებგვერდის ადმინისტრირება

1. ვებ-გვერდის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი.
2. პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გამოსაქვეყნებლად მიწოდებული ინფორმაცია, საქსტატის ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს მიწოდებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.
3. თუ ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია დიდი მოცულობისაა და მოითხოვს ტექნიკური ან სხვა სახით დამატებით დამუშავებას, ინფორმაცია უნდა განთავსდეს მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
4. ამ მუხლით მეორე და მესამე პუნქტით გათვალისწინებული ვადის გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული ვადა, რომელიც არ შეიძლება გაგრძელდეს.

მუხლი 3. ვებგვერდზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული და ვადები

1. ვებგვერდზე განსათავსებლად პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი - სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი/მოვალეობის შემსრულებელი ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს აწვდის შემდეგი სახის ინფორმაციას:

1. ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ

	ინფორმაციის დასახელება	განახლების ვადები
1.1	საქსტატის სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	განახლება დია ცვლილების შემთხვევაში
1.2	საქსტატის ცენტრალური აპარატისა და მისი სტრუქტურულ-ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის	განახლება დია ცვლილების შემთხვევაში

	მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)	
1.3	საქსტატის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად
1.4	საქსტატის მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
1.5	საქსტატის ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
1.6	საქსტატის ცენტრალური აპარატისა და მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში

2. საჯარო ინფორმაციის გვერდი

2.1	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნ-ველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2.2	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2.3	ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2.4	საქსტატის მიერ საქართველოს პრე-ზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად
2.5	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა	ქვეყნდება კვარტალურად

3. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ

3.1	საქსტატში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
3.2	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს საქსტატში კონკურსის ჩატარების წესებს	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
3.3	საქსტატში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში	ქვეყნდება კვარტალურად

4. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ

4.1	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	ქვეყნდება კვარტალურად
4.2	საქსტატის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით	ქვეყნდება კვარტალურად
4.3	ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ	ქვეყნდება კვარტალურად

4.4	რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები	ქვეყნდება კვარტალურად
-----	---------------------------------------	-----------------------

5. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ

5.1	საქსტატის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები	ქვეყნდება კვარტალურად
5.2	ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით)	ქვეყნდება კვარტალურად და ყოველწლიურად
5.3	ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)	ქვეყნდება კვარტალურად
5.4	ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით)	ქვეყნდება კვარტალურად
5.5	საქსტატის ბალანსზე რიცხული ავ-ტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.6	ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.7	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.8	საქსტატის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.9	ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.10	უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.11	ინფორმაცია საქსტატის მიერ გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.12	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან საქსტატისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება კვარტალურად
5.13	სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან საქსტატისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ	ქვეყნდება აქტის მიმღები ორგანოს მიერ ძალაში შესვლიდან 10 დღეში

6. სამართლებრივი აქტები

6.1	ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საქსტატის საქმიანობასთან	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში
6.2	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, საქსტატის შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში

7. სხვა საჯარო ინფორმაცია

7.1	საქსტატის სერვისების შესახებ ინფორმაცია	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
7.2	ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და სავალსურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება საქსტატის მიერ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში

2. ინფორმაციის მოწოდების პერიოდულობაზე და უტყუარობაზე პასუხისმგებელი პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, ხოლო ინფორმაციის ვებგვერდზე დროულად განთავსებაზე ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

3. პროაქტიული ინფორმაცია ვებ-გვერდზე განსათავსებლად ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს მიეწოდება PDF, WORD, EXCEL ან MS Office პროგრამით გათვალისწინებულ სხვა ფორმატში.

მუხლი 4. საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებისა და ცვლილების შეტანის ვადა.

1. კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში, ხოლო ყოველწლიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია – წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ცვლილება შეტანილ უნდა იქნას, საფუძვლის წარმოშობიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული აღნიშნულ წესში, წესრიგდება საქართველოს კანონით „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებით.

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი განსაზღვრავს საქსტატში არსებული საჯარო ინფორმაციის (შემდგომში ინფორმაცია) ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესს და ფორმას.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. საჯარო ინფორმაცია შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა, ორგანიზაციამ, დაწესებულებამ და კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში მიიღოს მოთხოვნილი ინფორმაცია.
2. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაცემა დაინტერესებული მხარის მიერ განცხადებაში მითითებულ ელ-ფოსტაზე გაგზავნით, მისივე მოთხოვნით კომპაქტურ დისკზე ჩაწერითა და საჯარო ინფორმაციის ასლების გადაცემით.
3. თუ დაინტერესებული მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაგზავნა მისი მოცულობიდან გამომდინარე შეუძლებელია გაგზავნილ იქნეს ელექტრონულად, მაშინ საქსტატი იტოვებს უფლებას მხარის თანხმობის შემთხვევაში განახორციელოს მისი კომპაქტურ დისკზე ჩაწერა და მხარეს გადაახდევინოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასური. ამასთან, ამავე კანონით გათვალისწინებული საფასური გადაიხდება საჯარო ინფორმაციის მხარის მიერ ასლების გადაცემის მოთხოვნის შემთხვევაშიც.

მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული სახით მიღებით დაინტერესებულმა პირმა, ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე უნდა გაგზავნოს მოთხოვნა ელექტრონულ მისამართზე public.info@geostat.ge; info@geostat.ge ელექტრონული ინფორმაცია შეიძლება მოთხოვნილ იქნას წერილობითაც, საქსტატში განცხადების წარდგენის გზით.
2. ელექტრონული, აგრეთვე წერილობითი განცხადება უნდა იძლეოდეს პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

3. ამ მუხლით დადგენილი წესის დარღვევით წარდგენილი განცხადება არ განიხილება.

მუხლი 4. საჯარო ინფორმაციისათვის მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება

1. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არ გადაიხდევინება:

- ა) ინფორმაციის მომთხოვნის კომპაქტურ დისკზე ან სხვა ელექტრონულ მატარებელზე ინფორმაციის ჩაწერისას;
- ბ) საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფოსტით გაგზავნისას;
- გ) ფიზიკური პირებისათვის საჯარო დაწესებულებაში მათზე არსებული პერსონალური მონაცემების ასლის გადაღებისას.

2. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრულია „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 5. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურები და ვადები

1. ელექტრონულ მისამართზე (public.info@geostat.ge; info@geostat.ge) მიღებულ განცხადებას ენიჭება რეგისტრაციის ნომერი და ეგზავნება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.

2. მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება/მომზადების შემდგომ, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირი ადასტურებს ინფორმაციის გაცემას ან უარს აცხადებს ინფორმაციის გაცემაზე, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადის დაცვით ეცნობება განმცხადებელს.

3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გასცეს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

- ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი ტერიტორიული ორგანოდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;
- გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

4. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10 დღიანი ვადა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

5. მოთხოვნილი ელექტრონული საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო ვადები აითვლება ელექტრონულ მისამართზე public.info@geostat.ge; info@geostat.ge მიღებისა და რეგისტრაციის დადასტურების დღის მომდევნო დღიდან.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული აღნიშნულ სტანდარტში, წესრიგდება საქართველოს კანონით „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებით.